AGREEMENT

BETWEEN

THE GOVERNMENT OF THE UNITED STATES OF AMERICA

AND

THE GOVERNMENT OF GEORGIA

ON

THE PROTECTION AND PRESERVATION OF CERTAIN CULTURAL PROPERTIES

The Government of the United States of America and the Government of Georgia (hereafter referred to as Parties) -

Desirous of successful mutual cooperation in the field of cultural heritage between the two states,

Bearing in mind the respect due to fundamental human rights, and seeking to promote understanding, tolerance and friendship among all nations, racial and religious groups,

Convinced that each culture has a dignity and a value which must be respected and preserved, and that all cultures form part of the world cultural heritage belonging to all mankind,

Desiring to enhance the protection of cultural heritage and provide access to treasures of national and world culture without discrimination,

Considering that deterioration or disappearance of items of cultural heritage constitutes an impoverishment of the heritage of all nations of the world,

Considering that the protection of cultural heritage can be effective only if organized both nationally and internationally among states working in close cooperation,

Considering the principles of the Helsinki Final Act of the Conference on Security and Cooperation in Europe, and

Desirous of elaborating concrete steps in furtherance of the principles and purposes of the 1972 Convention for the Protection of the World Cultural and Natural Heritage with respect to certain items of cultural heritage of the victims of the Second World War, as well as properties of cultural heritage damaged and destroyed because of armed conflicts and calamities,

Have agreed as follows:

ARTICLE 1

1. Each Party will take appropriate steps to protect and preserve the cultural heritage properties in its territory, notwithstanding the national, religious, and ethnic history of the properties.

2. The term "cultural heritage" for the purposes of this Agreement means: places or worship; sites of historical significance; archeological, anthropological, ethnological, architectural and urban monuments; cemeteries; memorials to the dead; as well as archival and other authentic materials relating thereto.

ARTICLE 2

The Parties shall cooperate in identifying a list of appropriate items which fall within the scope of Article 1, particularly those which are in danger of deterioration or destruction. Either Party may publish such a list.

ARTICLE 3

Each Party will ensure there is no discrimination against the cultural heritage of any person on grounds of religion, race, past or present nationality, or ethnicity in the formulation or application of its national laws and regulations pertaining to cultural heritage, including but not limited to the areas of:

(a) the protection and preservation of their cultural heritage;
(b) the right to contribute to the protection and preservation of their cultural heritage; and
(c) public access thereto.

ARTICLE 4

In cases where one of the Parties is unable, on its own, to ensure adequate protection and preservation of its cultural heritage, the Parties will take joint adequate measures in order to ensure the protection and preservation of cultural heritage on its territory. Each Party shall take special steps to ensure such protection and preservation of cultural heritage within its territory and, failing that, may invite the cooperation of the other Party where assistance is required for this purpose.

ARTICLE 5

1. Properties of cultural heritage that are of special significance shall be designated in a list of items of cultural heritage. Such a list shall be publicly announced and communicated to the relevant competent authorities.

2. Such a list of items of cultural heritage shall be designated by the Commission referred to in Article 6 hereof. The Commission may also designate properties for inclusion in the list at any time.

3. All properties of cultural heritage so designated shall be protected, preserved, and marked in the manner stipulated by the national legislation of either Party. Public access thereto shall be ensured.

ARTICLE 6

1. A Joint Cultural Heritage Commission (JCHC) is hereby established to take and oversee measures regarding the properties referred to in Articles 2 and 5, and to perform such other functions as are delegated to it by the Parties. Each Party shall appoint at least one but no more than three members to the JCHC, who may be assisted by alternates and advisers. Decisions of the JCHC shall require the assent of all members. The Parties shall cooperate in supplying the JCHC with access to the items of cultural heritage and information necessary for the execution of its responsibilities.

2. The JCHC shall meet as needed alternately in the United States of America and in Georgia.

3. Each Party through its representative on the JCHC referred to in the first paragraph hereof may request that special arrangements, as appropriate, be worked out under the procedures established by the JCHC to protect and preserve the cultural heritage of citizens of the requesting Party in the territory of the other Party. The other Party will consider steps, within the scope of its laws and regulations, to respond to the request.

4. The United States Commission for the Preservation of America's Heritage Abroad shall be the Executive Agent for implementing this Agreement on the American side. The Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia shall be the Executive Agent for implementing this Agreement on the Georgian side. Either Party may, by diplomatic note to the other, change its Executive Agent.

ARTICLE 7

Nothing in this Agreement shall be construed to relieve either Party of its obligations under the 1972 Convention for the Protection of the World Cultural and Natural Heritage or any other agreement for the protection of the cultural heritage.

ARTICLE 8

This Agreement shall be implemented in accordance with the internal legislation in force of both Parties and funds allocated for the implementation of this Agreement.

ARTICLE 9

Disputes concerning the interpretation or application of this Agreement shall be submitted to the Agents referred to in the fourth paragraph of Article 6 and shall be resolved by mutual consent.

ARTICLE 10

1. This Agreement shall enter into force for a period of 10 years upon an exchange of diplomatic notes by which the Parties inform each other about the fulfillment of their respective legal requirements for entry into force.

2. This Agreement may be amended by mutual written agreement of the Parties. Amendments shall constitute an integral part of the Agreement.

3. This Agreement shall remain in force until terminated by either Party giving six months prior written notice through diplomatic channels to the other Party of its intention to terminate this Agreement.

DONE at Washington DC, **on this** 28th **day of** July, **2008, in duplicate, in the English and Georgian languages, each text being equally authentic.**

FOR THE GOVERNMENT OF THE UNITED STATES OF AMERICA:

FOR THE GOVERNMENT OF GEORGIA:

შეთანხმება

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა

და

საქართველოს მთავრობას

შორის

ზოგიერთი კულტურული ფასეულობის დაცვისა და შენარჩუნების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და საქართველოს მთავრობა (შემდგომში მოხსენიებულნი როგორც ხელშეკრულების მხარეები),

გამოხატავენ რა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ორმხრივი წარმატებული თანამშრომლობის სურვილს,

ითვალისწინებენ რა ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის პრინციპებს და აქვთ რა სურვილი, ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას ყველა ერსა და რელიგიურ და რასობრივ ჯგუფებს შორის,

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ყოველი კულტურა ღირებულია და საკუთარი ფასეულობა გააჩნია და რომ ყველა ქვეყნის კულტურა წარმოადგენს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს, რომელიც მთელ კაცობრიობას ეკუთვნის,

გამოთქვამენ რა სურვილს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე დაიცვან კულტურული მემკვიდრეობა და უზრუნველყონ ეროვნული და მსოფლიო კულტურის საგანძურის ხელმისაწვდომობა,

ითვალისწინებენ რა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაზიანება და გაუჩინარება გულისხმობს მსოფლიო ხალხთა საერთო მემკვიდრეობის გაღარიბებას,

ითვალისწინებენ რა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ეფექტური დაცვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ქვეყნებს შორის მჭიდროდ თანამშრომლობის გზით, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე,

ითვალისწინებენ რა, ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კონფერენციაზე მიღებული ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპებს, და

გამოთქვამენ რა სურვილს, შეიმუშავონ კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ 1972 წლის კონვენციის პრინციპებისა და მიზნების განხორციელებას მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა კულტურულ მემკვიდრეობის რიგ ნიმუშებთან და შეიარაღებული კონფლიქტებისა და კატასტროფების შედეგად დაზიანებული და განადგურებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. თითოეული მხარე მიიღებს სათანადო ზომებს მისი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდერობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის, განურჩევლად ამ მემკვიდრეობის ეროვნული, რელიგიური და ეთნიკური წარმომავლობისა.

2. ამ შეთანხმების მიზნებისათვის ტერმინი „კულტურული მემკვიდრეობა“ მოიცავს რელიგიურ ადგილებს, ისტორიული მნიშვნელობის ადგილებს, არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეთნოლოგიურ, არქიტექტურულ და ურბანულ ძეგლებს, სასაფლაოებს, გარდაცვლილთა მემორიალებს, და აგრეთვე მათთან დაკავშირებულ საარქივო და სხვა სახის ავთენტურ მასალებს.

მუხლი 2

მხარეები ითანამშრომლებენ იმ ობიექტების ნუსხის შედგენის საკითხში, რომლებსაც მოიცავს პირველი მუხლი; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ ობიექტებს, რომლების დანგრევის ან განადგურების საშიშროების წინაშე დგანან. თითოეულ მხარეს შეუძლია გამოაქვეყნოს აღნიშნული ნუსხა.

მუხლი 3

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ ადგილი არ ჰქონდეს ნებისმიერი პიროვნების კულტურული მემკვიდრეობის მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას რელიგიური, რასობრივი, წარსული ან ამჟამინდელი მოქალაქეობისა და ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე, თავისი ქვეყნის კანონმდებლობის ფორმულირების ან გამოყენების პროცესში, რომლებიც ეხება კულტურულ მემკვიდრეობას და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სფეროებით:

ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება;

ბ) მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში წვლილის შეტანის უფლება;

გ) კულტურული მემკვიდრეობის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა.

მუხლი 4

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს გარკვეული მიზეზების გამო არ შეუძლია ჯეროვნად დაიცვას და შეინარჩუნოს თავისი კულტურული მემკვიდრეობა, თითოეული მხარე გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯებს რათა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა და შენარჩუნება მის ტერიტორიაზე. თუ რომელიმე მხარე ვერ შეძლებს ხსენებული ვალდებულების შესრულებას, მას შეუძლია თანამშრომლობისათვის მოიწვიოს მეორე მხარე.

მუხლი 5

1. კულტურული მემკვიდერეობის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფასეულობები შეტანილი უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში. ამგვარი ნუსხა გამოქვეყნდება საჯაროდ და ეცნობება მხარეთა შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს.

2. კულტურული მემკვიდროების ობიექტების ნუსხას შეადგენს მე-6 მუხლში მითითებული კომისია. ასევე შეუძლია ნებისმიერ დროს განსაზღვროს სიაში შესატანი ფასეულობანი.

3. აღნიშნულ ნუსხაში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობანი დაცული, შენარჩუნებული და აღრიცხული იქნება მხარეთა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება ასეთ ობიექტებზე საზოგადოების დაშვება.

მუხლი 6

1. მხარეები ქმნიან კულტურული მემკვიდრეობის ერთობლივ კომისიას (კმეკ), რომელსაც ევალება მე-2 და მე-5 მუხლებში მითითებულ ობიექტებთან დაკავშირებით სათანადო ღონისძიებების განხორციელება და მათი მეთვალყურეობა და მხარეების მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულება. თითოეული მხარე კმეკ-ში ნიშნავს სულ მცირე ერთ წევრს, მაგრამ არა უმეტეს სამი წევრისა, რომლებსაც საჭიროებისამებრ დახმარებას გაუწევენ თანაშემწეები და კონსულტანტები. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ყველა წევრის თანხმობით. მხარეები ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ კომისიისთვის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და დაკისრებული მოვალეობების შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

2. აღნიშნული კომისია შეიკრიბება საჭიროებისამებრ, მონაცვლეობით საქართველოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

3. თითოეულ მხარეს თავის მოქალაქეთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით, კომისიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, შეუძლია მეორე მხარის ტერიტორიაზე მოითხოვოს სპეციალური ზომების მიღება ამ მუხლით პირველ პუნქტში მითითებულ კმეკ-ში თავისი წარმომადგენელის მეშვეობით. მეორე მხარე, თავისი კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილავს იმ ზომებს, რომლებიც უნდა გატარდეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.

4. საქართველოს მხარისათვის წინამდებარე შეთანხმების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. ამერიკის მხარისათვის ასეთი უწყებაა შეერთებული შტატების კომისია საზღვარგარეთ ამერიკის მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. თითოეულ მხარეს დიპლომატიური ნოტების გაგზავნის გზით, შეუძლია თავისი პასუხისმგებელი უწყების შეცვლა.

მუხლი 7

წინამდებარე შეთანხმების არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს რომელიმე მხარეს მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ 1972 წლის კონვენციით, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით დადებული სხვა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

მუხლი 8

წინამდებარე შეთანხმება განხორციელდება ორივე მხარის სახელმწიფოებში მოქმედი შიდაკანონმდებლობის შესაბამისად და მათ მიერ შეთანხმების მიზნების შესასრულებლად გამოყოფილი სახსრებით.

მუხლი 9

წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან, ან გამოყენებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სადავო საკითხი, გადაეცემა მე-6 მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებულ უწყებას და წყდება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 10

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის 10 წლის ვადით მხარეთა მიერ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ დიპლომატიური ნოტების გაცვლის დღიდან.

2. მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე შეთანხმებაში შესაძლებელია, შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები, რომლებიც წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში დარჩება, სანამ ერთ-ერთი მხარე წერილობით, დიპლომატიური არხების მეშვეობით, შეთანხმების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე არ აცნობებს მეორე მხარეს თავის განზრახვას, შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება.

შესრულებულია ქ. ვაშინგტონი 2008 წლის 28 ივლისი ორ პირად, თითოეული ინგლისურ და ქართულ ენებზე. ამასთან, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით:

საქართველოს მთავრობის სახელით: